

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 ECTS კრედიტი
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანატომიური, ფიზიოლოგიური, პათოფიზიოლოგიური თავისებურებების შესწავლა; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდების, მიდგომების და მათი ურთიერთკავშირის განსაზღვრის უნარის გამოუმუშავება; სარეაბილიტაციო მკურნალობის სახეებისა და საშუალებების შესწავლა . კურსდამთავრებულს შეეძლება: სხვადასხვა ტრავმების პროფილაქტიკა, ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასება და მკურნალობის მეთოდების განსაზღვრა. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება საბაზისო თეორიული ცოდნა ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულებით და შეეძლება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ექნება კონკრეტული ამოცანის დასმის და მისი გადაწყვეტის უნარი.</p> <p>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი მზად იქნება სწავლების უფრო მაღალ საფეხურებზე დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად და ეს შესაძლებელია მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამით.</p>
სწავლის შედეგები	<p>კურსდამთავრებულს ექნება საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური მეცნიერებების, საბაზისო და კლინიკური მედიცინის ფართო ცოდნა; გააცნობიერებს თავის როლს ჯანდაცვის სისტემაში, ასევე ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებსა და კომპლექსური პრობლემების გადაჭრის თანამედროვე გზების მიღებული ცოდნის საფუძველზე შეეძლება პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა და მოქმედების გეგმის დასახვა. კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, შეფასება, პაციენტისთვის მკურნალობის პოტენციური სარგებლის შეფასება. ექნება მიღებული ცოდნის შესაბამისი პრაქტიკული პროცედურების ჩატარების უნარი. წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად შეეძლება სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება</p> <p>შეეძლება ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის არასრული და განყენებული მონაცემების შეროვება და განმარტება, დასაბუთებული დასკვნის გაკეთება. მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე გამოუმუშავდება კლინიკური აზროვნების და ლოგიკური მსჯელობის უნარი, რომელიც საშუალებას მისცემს გააკეთოს შესაბამის სიტუაციაში მოქმედებისათვის დასკვნები...შეეძლება პროფესიულ კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია. ექნება დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი:</p> <p>შეეძლება სამედიცინო რეაბილიტაციის სფეროში სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება. ექნება დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შე-რჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეეძლება ცოდნის განუწყვეტელი განახლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება.</p> <p>შეეძლება დამოუკიდებლად განსაზღვროს პროფესიული დახე-ლოვნებისთვის მისი მისწრაფებების შესატყვისი სამედიცინო მიმართუ-ლება – მაგისტრატურაში.</p> <p>ექნება პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვისა და გამოყენების უნარი ჩამოყალიბდება პასუხისმგებლობის უნარი მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე. მონაწილეობას მიიღებს და დაამკვიდრებს ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდების ეფექტურობის, ხარისხისა და უსაფრთხოების პრინციპებს.</p>
შეფასების წესი	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.</p> <p>არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.</p> <p>დადებითი შეფასებებია:</p> <p>ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p>

	<p>ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;</p> <p>გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტი "ჩაიჭრა" შეფასებას ლებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <p>შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>MD, კლინიკური მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელი: ნერიმან ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი მობ. 599 17 01 88 E-mail: neriman.cincadze@bsu.edu.ge</p>